სატენდერო შეთავაზება
თარგმანის მომსახურების შესყიდვაზე

ტენდერის აღწერილობა:

სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს კონკურსს თარგმანის მომსახურების შესყიდვაზე, შემდეგ ენებში: ქართული, რუსული, ინგლისური.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი:
სამუშაო გამოცდილება წერილობითი თარგმანების შესრულებაში, იურიდიული და საბანკო-საფინანსო მიმართულებით (შესაბამისი სპეციფიკისა და ტერმინოლოგიის ცოდნით), შემდეგ ენებში:

#	დასახელება	1 თაბახის (ა4 ფორმატის/ 2000 სიმბოლო) ფასი
1	თარგმნა ქართული ენიდან რუსულ ენაზე	
2	თარგმნა რუსული ენიდან ქართულ ენაზე	
3	თარგმნა ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე	
4	თარგმნა ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე	
5	პირდაპირი თარგმნა რუსული ენიდან ინგლისურ ენაზე	
6	პირდაპირი თარგმნა ინგლისური ენიდან რუსულ ენაზე	

აპლიკანტმა განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

1. <u>ფიზიკური პირის / ინდ. მეწარმის შემთხვევაში:</u>
   - პირადობის / ინდ. მეწარმის დამადასტურებელი დოკუმენტი;
   - საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ. მისამართი);
   - მოკლე ბიოგრაფია, CV (ინფორმაცია/მოკლე აღწერილობა / გამოცდილების / საქმიანობის შესახებ (გამოცდილება, კლიენტების სია ა.შ.);
   - უცხო (ინგლისური/რუსული) ენის ცოდნის დამადასტურებელი დიპლომი /სერთიფიკატი/სხვა დოკუმენტი;
2. <u>იურიდიული პირის (კომპანიის) შემთხვევაში:</u>
   - იურიდიული პირის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
   - საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ. მისამართი);
   - ინფორმაცია/მოკლე აღწერილობა შესაბამისი კომპანიის/თარჯიმანის მოღვაწეობის/გამოცდილების/საქმიანობის შესახებ (გამოცდილება, კლიენტების სია ა.შ.);
   - კომპანიის სერთიფიკატები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. <u>ფიზიკური/იურიდიული პირის შემთხვევაში:</u>
   - განაცხადი/შეთავაზების ფაილი, რომელიც დეტალურად მოიცავს თარგმანის შესრულების ფას(ებ)ს*, 1 თაბახის (ა4 ფორმატის) ფურცელზე შესრულებულ თარგმანზე:

- ქართული ენიდან რუსულ/ინგლისურ ენაზე;
- რუსული/ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე;
- პირდაპირი თარგმნა რუსული/ინგლისური ენიდან ინგლისურ/რუსულ ენაზე;
- თარგმანის ღირებულება ვადების მიხედვით (დაჩქარებული/სტანდარტული და ა.შ.);
- თარგმანის შესრულების სტანდარტების მითითებით (შრიფტის ზომა, ტექსტის ინტერვალი და სხვ.);

* ფასები უნდა მიეთითოს ეროვნულ ვალუტაში - ლარი (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით);

აპლიკანტის მიერ განაცხადის ფორმის ატვირთვა უნდა მოხდეს ვებ გვერდზე www.tenders.bog.ge არაუგვიანეს წინამდებარე სატენდერო შეთავაზებაში აღნიშნული ვადებისა.

ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან/მთარგმნელთან გაფორმდება 6 (ექვსი) თვიანი მომსახურების ხელშეკრულება, თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივით;

დამატებითი ინფორმაცია:

- ტენდერის ვადა განისაზღვრება 2017 წლის 24 აპრილიდან 2017 წლის 1 მაისის ჩათვლით;
- ტენდერში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია მომწოდებელი იყოს რეგისტრირებული შემდეგ მისამართზე www.tenders.bog.ge;
- აირჩიოს ტენდერი და შემოთავაზებული ერთეულის ფასი მიუთითოს შესაბამის გრაფაში, პუნქტი #1-ის გასწვრივ;
- პრეტენდენტის მიერ ასატვირთი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;
- შემოთავაზებები მომწოდებლისათვის გახდება ანონიმური ტენდერის დასრულებამდე 3 საათით ადრე.